KA021737525894521

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-4713 10 / სექტემბერი / 2021 წ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლეყერეთში მდებარე 22344 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი და პირველი პრიმა პუნქტების შესაბამისად, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის №570 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების,
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცებს შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და და „სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის" უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლეყერეთში მდებარე 22344 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N39.08.22.166) იჯარის უფლებით გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) წლის ვადით.

2.საწყის წლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 1100 ლარი.

3.ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 330 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა - 100 ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სარგებლობაში გადაცემის ვადას არანაკლებ 7 კალენდარული დღით.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთის სარგებლობაში გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) წლიური საიჯარო ქირის გადახდა ყოველწლიურად, ყოველი წლის 30 ნოემბრამდე.

ბ) ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად, ყოველი წლის დეკემბრის თვეში ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ნივთის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა.

გ) ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ უძრავ ნივთზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 12 (თორმეტი) თვის ვადაში და შემდგომ ყოველ 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ, ხოლო თუ იჯარის ვადის გასვლამდე დარჩენილია 5 (ხუთი) წელიწადი ან ნაკლები - იჯარის ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე, ნიადაგის ნაყოფიერების და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა დანართი N2-ის შესაბამისად.

5.დამტკიცდეს საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი აუქციონის ჩატარების შესახებ განცხადება (დანართი N3) და დაევალოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონით დადგენილი წესით.

6.საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

7.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა № 2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ზურაბ წიქვაძე